№ 97
(11 246)

8 – 10 დეკემბერი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## პრესკონფერენციიდან გამოყოლილი ფიქრები

# გელა დარსაძე: მომავალში კარგად ვიცხოვრებთ, მაგრამ ვიცხოვროთ უკალათბურთოდ?

## ვახტანგ ნაცვლიშვილი: „საქართველოში არავის აქვს მორალური უფლება გუნდს მოსთხოვოს შედეგი, ჩვენ არ გვყავს პროფესიული გუნდი, ჩვენ გვყავს ენთუზიასტ კალათბურთელთა ბანდა“



თეთრ მაისურში (№10) ვახტანგ ნაცვლიშვილი

როცა პრობლემებზე პროფესიონალები მსჯელობენ, დასკვნების გამოტანა ჟურნალისტსაც უადვილდება. ჩვენს კალათბურთში, რომ ყველაფერი წესრიგში ვერ არის, ყველამ კარგად იცის, მაგრამ მაინც სულ სხვა იყო მოგვესმინა უშუალოდ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობისთვის, თანაც მოგვესმინა ფედერაციის მესვეურებისა და უშუალოდ კალათბურთელთა თანდასწრებით. ასეთ შეხვედრაზე გამორიცხულია კითხვები უპასუხოდ დარჩეს, ხოლო თუ ხსენებული სამი მხრიდან ერთ-ერთს არ აკმაყოფილებს მეორის შეფასება, მიზეზიც იქვე გაირკვევა. ამ პრესკონფერენციაზე, მართლაც იყო შემთხვევები, როცა მწვრთნელები ზოგჯერ ჟურნალისტებს კი არა, თვით ფედერაციის ხელმძღვანელობისა და კალათბურთელთა აზრსაც არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს მოსაზრებათა შეჯერებით ეფინებოდა ნათელი.

შესაძლებელია, მთავარი მწვრთნელი, ლევან მოსეშვილი ბევრი რამით უკმაყოფილოა და ამის არგუმენტირებული საფუძვლებიც გააჩნია, მაგრამ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ფონს ხომ ვერსად გაექცევი, გინდა არ გინდა, მხრებს ისე ვერ გაშლი, როგორც ეროვნულ ნაკრებს ეკადრება, ისეთ პირობებს ვერავინ შეგიქმნის ჩვენს მეტოქეებს რომ აქვთ. მაგრამ ერთია პირობები, მეორეა პატრიოტული გრძნობა, რასაც მთავარი მწვრთნელი ნამდვილად უწუნებს ზოგიერთ კალათბურთელს, როცა ისინი გუნდის დასახმარებლად ოფიციალურ მატჩებზე არ ჩადიან.

თურმე ჩვენი ნაკრები იმდენად შეჭირვებული ყოფილა ეკონომიკურად, შეკრებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მესამე მწვრთნელიც ვერ წაუყვანიათ მატჩებზე, რაც ოფიციალურადაა დასაშვები. იმ ორიოდე შეკრებას კი, რომელიც ჩვენს გუნდს გაუვლია, ისრაელ მეგობრებს უნდა უმადლოდნენ, რაშიაც დიდი წვლილი შეუტანია საქართველოში „მაკაბის“ ვიცე-პრეზიდენტს ჯამლეტ ხუხაშვილს.

შეიძლება უცნაურად მოჩანდეს, მაგრამ ფაქტია, ნაკრები გულდაწყ-

იხ. მე-2 გვ.

## გადამწყვეტი შეხვედრების წინ

გადამწყვეტ ფაზაში შედის საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი. 4 ტურის შემდეგ ავადმყოფობის გამო გამოეთიშა ერთ-ერთი ფავორიტი — დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი.

5 ტურის შემდეგ ბრწყინვალე შედეგით — 5 ქულით წინ იყო დიდოსტატი ნინო ხურციძე, მაგრამ მეექვსეში იგი დამარცხდა ხვიჩა ბახტაძესთან, რომელიც მას ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. ახლა გათამაშებას 5,5 ქულით ერთპიროვნულად ხვიჩა ბახტაძე ჩაუდგა სათავეში. ხურციძესთან ერთად 5-5 ქულა მოაგროვეს ახალგაზრდა ოსტატმა დავით შენგელიამ და ჭაბუკმა დავით არუთინიანმა.

საერთოდ, ეს შეჯიბრება ახალგაზრდა მოჭადრაკეების სრული უპირატესობით მიმდინარეობს. საპრიზო ადგილებისათვის (ჩემპიონატზე 5 ფულადი ჯილდოა დაწესებული) ბრძოლა მეტად გამწვავდა და ფინიშზე არაერთ სიურპრიზს უნდა მოველოდეთ.

## დიანა დარჩია გრონინგენში ითამაშებს

ბათუმელმა დიდოსტატმა დიანა დარჩიამ მეტად საინტერესო და საპატიო მიწვევა მიიღო. 16 დეკემბრიდან იგი ითამაშებს გრონინგენის (ჰოლანდია) ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ევროპის ქვეყნების გამოჩენილი მოჭადრაკეების მონაწილეობით წრიული სისტემით ტარდება. ტურნირს მაღალი, მეთხუთმეტე კატეგორია მიეკუთვნა.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის მედიცინის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ***ოთარ ვირუბოვი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური გიწვევთ

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური ჟურნალისტებთან, სპორტის გულშემატკივრებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ტრადიციული შეხვედრების მორიგ პრესკონფერენციას გამართავს ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, 12 საათზე.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

### გუშინ, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში განახლდა პირველი წრის გათამაშება

ქოლხა (სოხუმი) — სდასუ (თბილისი) 6&82 (27:38)

*კოლხა:* პირველი, ბერიშვილი (9), კეიდია (10), ვ. ქვილითაია (5), ბ. ქვილითაია (3), აბულაძე (11), ბერია, ვაშაკიძე, უგრეხელიძე (23), თოდუა (7), ძიძიგური.

*სდასუ:* ხარაძე, ქურდიანი, გიგაური (4), თორთლაძე (29), გიგაშვილი (3), უძილაური (23), მაჭარაძე (8), ორჯონიკიძე, არჩვაძე (8), აბულაძე (2), ქევხიშვილი (5), ჩიქოვანი.

*მსაჯები:* აბაშიძე, ბერეკაშვილი (ორივე — თბილისი).

გაყინულ დარბაზში ყველაფერი ულიმღამოდ დაიწყო: ოთხი წუთის განმავლობაში გუნდებმა კალათბურთისთვის გასაოცარი უშედეგო „ჩხვლეტებით“ დაგვამახსოვრეს თავი და ანგარიშიც საფეხბურთო გამოდგა — 2:1 „კოლხას“ სასარგებლოდ. ამას მაყურებლების უკმაყოფილო შეძახილებიც დაერთო — ნეტავი, რისთვის ცოდვილობენ ან ჩვენ რაღას გვერჩიანო. „კოლხამ“ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს წინააღმდეგობა მხოლოდ ნახევარი ტაიმი გაუწია, ისიც, ძირითადში, ერთი კალათბურთელის — უგრეხელიძის გარჯის შედეგი იყო. მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა სდასუ-ს გამოცდილმა უკანახაზელებმა — თორთლაძემ და უძილაურმა ეფექტური გარღვევებით და ზუსტი შორეული ტყორცნებით თანაგუნდელებს მნიშვნელოვანი უპირატესობა შეუქმნეს. თბილისელებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონატს ფინანსური სიძნელეების გამო ქვეყნის ექსგზის ჩემპიონი „ვითა“ გამოაკლდა, მედლებისათვის ბრძოლაში, ალბათ, სდასუ ჩაებმება. ამ გუნდის მაღალი პოტენციური ძალა განვლილ მატჩშიც ნათლად ვიხილეთ.

ქვემოთ გთავაზობთ პირველი წრის დარჩენილი მატჩების სათამაშო კალენდარს:

8.XII. შევარდენი — თსუ 15.00 სთ.
სტუ-დინამო 17.00
12.XII აზოტი — შევარდენი 15.00
13. XII სდასუ — მაკაბი 15.00
დინამო — თსუ 17.00
17.XII შევარდენი — სდასუ 15.00
მაკაბი — დინამო 17.00
18.XII სტუ — აზოტი 17.00

რაგბი საქართველოს ჩემპიონატი

# „დათვების“ მძლეველი „ყოჩები“



**დასრულდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. თბილისის „ყოჩებმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული — ფინალში მათ ბათუმის „დათვებს“ სძლიეს 30:10.**

საქართველოში რაგბის ტრადიციების შენარჩუნებამ, ბოლო ხანებში, ეჭვი გამოიწვია, რის



საფუძველს ძირითადად საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში განცდილი დამარცხებები იძლეოდა. სპეციალისტები კი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ქართული რაგბი არ ჩაკვდება, გვაქვს დიდი რეზერვი და თუ ხელშეწყობა იქნება, ჩვენები ხმამაღალ სიტყვას კვლავ იტყვიან მსოფლიო რაგბის სამყაროში. ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და თუ რამდენად საფუძვლიანია ოპტიმიზმი, მომავალი წლის გაზაფხულიდანვე გამოჩნდება, როცა თითქმის ხელახლა შევუდგებით შელახული რეპუტაციის აღდგენას საერთაშორისო სარბიელზე. მანამდე კი მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, რისი საფუძველიც, გარკვეულწილად, ალბათ, ეროვნული ჩემპიონატის შედეგების ანალიზიც გახდება. ჩემპიონატისა, რომელიც ესესაა დამთავრდა. ნაკრების საბაზო გუნდი, როგორც წესი, ჩემპიონი ხდება ხოლმე, ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება. გამორჩეული მოთამაშეები თითქმის ყველგან, ყველა კლუბში არიან და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს თამამად შეუძლია დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიოში

იხ. მე-2 გვ.

კიკ-ბოქსინგი

# პლუს ერთი ევროპის ჩემპიონი

რომ ვვარაუდობდით, უსახსრობის გამო ჩვენთვის საერთაშორისო ასპარეზობათა სპორტული სეზონი ნოემბერში ამოიწურა, ბედად კიკბოქსინგის ქართველმა ოსტატებმა, გოჩა ჯავახაძის ხელმძღვანელობით, მოახერხეს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება და ორი მედლით გაამდიდრეს ჩვენი ქვეყნის წლევანდელი სპორტული მონაგარი.. ლევერკუზენში გამართულ ამ ასპარეზობაში მსოფლიო ჩემპიონმა გიგა კორძაძემ ჩინებულად იასპარეზა და კონტინენტის ოქროს მედალი მოიპოვა, ამავე ასპარეზობაში მესამე პრიზიორი გახდა რამაზ კიკალეიშვილი.



„გუმათი“

## პრესკონფერენციიდან გამოყოლილი ფიქრები

*(პირველი გვერდიდან)*

ვეტილია იმით, რომ მორალურ მხარდაჭერასაც ვერ გრძნობენ სამშობლოში. სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები კი ნასახალისებლად თავისთან ვერ იწვევენ და ვერც გუნდთან მიდიან იმის გამო, რომ ესირცხვებათ ხელცარიელები რომ არიან, რომ ვერაფერს შეეწევიან და ვერაფერს დაჰპირდებიან. აი, ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ჩვენს შესანიშნავ რეზერვს, მომავალ კალათბურთელებს, ფეხბურთელებისა არ იყოს, უკვე უცხოეთისკენ უჭირავთ თვალი. „ოღონდ საქართველოდან წავიდე და სადაც იქნება, იქ ვითამაშებო“ – ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა პრესკონფერენციაზე. არადა, ეს სიტყვები თურმე მოზარდს უთქვამს. განა ეს საგანგაშო არ არის?

თქვეს, რომ ლიტვაში მხოლოდ კალათბურთზე 6,5 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავენ, ჩვენთან კი ამის ნახევარი ლარიც არ გამოუყვია წლეულს ბიუჯეტს, საერთოდ ქართული სპორტისათვის.

არა, თვით კალათბურთელები და მწვრთნელები ამაგსაც არ ივიწყებენ და დიდად მადლობლები არიან, რომ დარბაზში ვარჯიშის დროს განათება მაინც აქვთ, რაც ფედერაციის პრეზიდენტის გოგი ქათამაძის წყალობაა – მას უჩუქებია გუნდისთვის დიზელგენერატორი. თუმცა, გაყინულ დარბაზში სპორტსმენები კვლავ ხელთათმანებით ვარჯიშობენ...

რა უნდა ვქნათ, რა უნდა ვიღონოთ ასეთ პირობებში? ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ დღეს ლაპარაკი უნდა იყოს არა სპორტულ შედეგებზე კალათბურთში, არამედ ჩვენში, საერთოდ, ამ თამაშის გადარჩენაზე. გელა დარსაძემ, ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა თქვა: „მდგომარეობა ნამდვილად სავალალოა, საგანგაშო ვითარებაა, თუ ცხოვრების დინებას მივყვებით და კარგ მომავალს დაველოდებით, ყველაფერი დაიკარგება, კალათბურთი ვერ მოიცდის, რაც გვაქვს, უეცრად გამოგვეცლება ხელიდან. ჩვენ ახლა შესანიშნავი პოტენციის ნაკრები გვყავს, რეზერვიც საუკეთესო მოდის, ამიტომ ნუ დავრჩებით იმის იმედად, რომ ოდესღაც კარგად ვიცხოვრებთ, გვჯერა ასეც იქნება, მაგრამ ვიცხოვროთ უკალათბურთოდ?“

თურმე საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობაშიც გვემუქრება იმის საშიშროება, რომ მატჩები თბილისის სპორტის სასახლეში არ ჩატარდეს, ისევ და ისევ გათბობის საკითხის მოუგვარებლობის გამო. ჯარიმებს ისედაც საკმაოდ გვაწერს ფიბა, ხოლო მატჩის ჩაშლისთვის (დარბაზში დაბალი ტემპერატურის გამო) შეიძლება გაგვრიცხოს კიდეც თავისი რიგებიდან. როცა დავინტერესდით სხვა რა ჯარიმებზეა ლაპარაკი, გაირკვა, რომ გუნდს თურმე ერთნაირი კედებიც არ აცვია, გვიანდება ოფიციალური საწევროების გადახდა და ა.შ. რაც გარკვეულ დრომდე ფიბას ჯარიმებს იწვევს, მერე კი საქმე გარიცხვამდე მიდის. და კიდევ: იტალიელთა დახმარება რომ არა, ჩვენს ნაკრებს თურმე დღეს საკუთარი სათამაშო სპორტული ფორმაც არ ექნებოდა.

ნაკრების კაპიტანს ვახტანგ ნაცვლიშვილს მიაჩნია, რომ „ჩვენ არ გვყავს პროფესიული გუნდი, გვყავს ენთუზიასტ კალათბურთელთა ბანდა და თუ რადიკალური ცვლილებები დროულად არ გატარდა, საქართველოში კალათბურთი მოკვდება“. მისივე სიტყვებია: „საქართველოში არავის აქვს მორალური უფლება, გუნდს მოსთხოვოს შედეგი, ჩვენზე უარეს დღეში მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ნაკრები არაა“. ვახტანგმა სათქმელი ბოლომდე თქვა და არც ის დაუმალავს, რომ საქართველოს ნაკრებში ის დილით ადრე არ ადგება და არ ირბენს 10 კმ-ს...

და ყოველივე ამის ფონზე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი და გადაჭრით აცხადებს, რომ „ქართული კალათბურთი არ მოკვდება, არ დასამარდება!“

ნეტარ არიან მორწმუნენი!

მიმომხილველი

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ხობი

აქ საინტერესოდ ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. შეჯიბრებას თავიანთი დასწრებით ინტერესი შემატებს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა რომან რურუამ და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვლადიმირ კანკავამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თორნიკე დანელია, ირაკლი ჩიქობავა, ზვიად ტყებუჩავა, ბახვა ჭანტურია (ყველა – სენაკი), ლევან ჯახია (საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი, ჩხოროწყუ – ორს), სერგო ბოცვაძე (ორს, სამტრედია), ჯუმბერ კუჭუხიძე (ორს, აბაშა), სურაჯი გვასალია, მანუჩარ ცხადაია, გიგა ჭილაია, რამაზ გაბისონია, ლევან ესებუა, პაპუნა დოჩია (ყველა – ორს, ხობი).

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაც მთავარი მსაჯის ჟიულერ პაჭკორიას (ხობი), მდივნის ალეკო მურღულიას (სენაკი) დიდი დამსახურებაა.

ანზორ სანიკიძე,
ხობის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

### თბილისი

თბილისში სპორტული წელიწადი ჯერ კიდევ გრძელდება და საქალაქო პირველობები ერთმანეთს მისდევს. გუშინ სტარტი აიღო ჯანმრთელობის მესამე სპარტაკიადამ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, „პეტრეს დარბაზში“ კი, მოჭიდავეთა ამ უძველეს სამჭედლოში შაბათს დილიდან ახმაურდა დოლი, აჰყვა ზურნა და გახურდა ჭიდაობა ქალაქის ფალავნობაზე, რომელშიც 80-მდე ჩოხოსანი იბრძოდა გამარჯვებისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ შარშანდელმა მსგავსმა ჩემპიონატმა სულ 29 მოჭიდავეს მოუყარა თავი, რის გამოც ის ჩვეული ცეცხლი და შემართება აკლდა, რითაც გამოირჩევა ჩვენი ეროვნული ჭიდაობა. შაბათის შეხვედრებს, ამ თვალსაზრისით, წუნს ვერ მოუძებნიდა კაცი, რომ იტყვიან, დიდსა და პატარას, ახალბედასაც და ხალიჩის გამოცდილ ოსტატსაც ძალა არ დაუზოგია, თავგამოდებით იჭიდავეს, ქომაგს კი მეტი რა უნდა, მან აშკარად გული იჯერა სარბიელზე, ლამაზი ჭიდაობის ცქერით. შეხვედრები კარგა ხანს გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ ტრადიციულად, აბსოლუტურ ფალავანს, 17 წლის ლაშა ფეიქრიშვილს, რომელმაც ჯერ 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში მოიპოვა უძლიერესის სახელი, აბსოლუტურ ფალავნობაში კი ზვიად წიკლაურს სძლია, მხრებზე ჭედილა შეუსვა...

#### ქვარცხლბეკი

***46 კგ:*** 1. გიორგი ზურაბაშვილი (გლდანი, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი – ორს), 2. კახა ბადრიაშვილი, 3. გიორგი მჭედლიშვილი (ორივე – „დინამო“). ***52 კგ:*** 1. ავთანდილ ცინცაძე („ლოკომოტივი“), 2. მამუკა ატაშვილი (თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა – თორს). 3. ვახტანგ ღონღაძე (გლდანი, ორს.) ***62 კგ:*** 1. მალხაზ ოსაძე, 2. დათო დორეული, 3. ივანე ჩონიაძე (სამივე – თორს). ***70 კგ:*** 1. იმედო უსანეთაშვილი („დინამო“), 2. რობერტ ჯავახიშვილი (თორს), 3. როლანდ რაზმიაშვილი (გლდანი, ორს). ***80 კგ:*** 1. ზაზა აბულაშვილი (თორს), 2. გიორგი გძელიძე („დინამო“), 3. ნიკო ქვრივიშვილი (თორს). ***90 კგ:*** 1. ლაშა ფეიქრიშვილი, 2. ნოდარ ხოდელი, 3. ავთანდილ შარვაშიძე (სამივე – თორს). ***90 კგ:*** 1. ზვიად წიკლაური, 2. დათო ნატროშვილი, 3. გიორგი კოროხაშვილი (სამივე – თორს).

ჰ. უნგიაძე

### რუსთავი

სპორტის ერთი უმთავრესი სტიმული მიმბაძველობაცაა. რუსთავის „აზოტმა“ ამ ქალაქის მოზარდებს კალათბურთი ისე შეაყვარა, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის რუსთავის განყოფილებამ ტრადიციად აქცია მოსწავლე კალათბურთელთა საქალაქო ტურნირი. თითქმის ყველა სკოლამ, ვისაც კი სპორტული დარბაზი აქვს, საასპარეზოდ გამოიყვანა VIII-XI კლასის მოსწავლეები. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ „აზოტს“ და საერთოდ, ქართულ კალათბურთს შესანიშნავი რეზერვი ეზრდება. ამჯერადაც გამოვლინდნენ მოთამაშეები, რომლებსაც „აზოტი“, დღეს თუ ხვალ, უკვე თავის სათადარიგოთა რიგებში მიიწვევს ოსტატობის ასამაღლებლად.

სააგენტო „გუმათი“

## „დათვების“ მძლეველი „ყოჩები“

*(პირველი გვერდიდან)*

გამორჩეულ სარაგბო გუნდებს შორის.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ფინალური მატჩები ვაკეში, 26 მაისის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ჯერ მესამე ადგილისთვის ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დედაქალაქის გუნდები „ექსპრესი“ (ყოფილი „ქორები“) და ასკ. მინიმალური ანგარიშით 18:17 გაიმარჯვა „ექსპრესმა“.

„ყოჩებისა“ და „დათვების“ პაექრობა მართლაც საჩემპიონო გამოდგა. თავიდან ბათუმელთა უპირატესობა გახდა შესამჩნევი, მათ ლამაზი, შემართული თამაშით დაამახსოვრეს თავი გულშემატკივრებს. „დათვები“ დაწინაურდნენ კიდეც და მას შემდეგ, რაც „ყოჩებმა“ საფრთხე იგრძნეს, მობილიზებული იერიშებით შეიტანეს თამაშში გარდატეხა. მერე კი მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვიათ და მატჩი დასასრულამდე თავიანთ სასარგებლოდ მიიყვანეს – 30:10.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბათუმელები ალბათ ტოლს ბოლომდე არ დაუდებდნენ მეტოქეს, პლეი-ოფის ნახევარფინალური მატჩი, რომ ერთი დღით გვიან არ ჩაეტარებინათ.

გაგაცნობთ ჩემპიონი გუნდის შემადგენლობას: ფირიაშვილი (ესაკია), ჭავჭავაძე (ქიქავა), ახვლედიანი (კიკუაშვილი), ურუშაძე, გუბარაშვილი (ტყეშელაშვილი), დიდბერიძე, კობახიძე, ჭელიძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, მაჩიტიძე (ბარძიმაშვილი), საკანდელიძე, ლიპარტელიანი (პეტრიაშვილი), ბესელაშვილი, იურინი.

მ. წუწუნავა

## სამი ბავშვი თავდებით გაათავისუფლეს

„ლელოს“ წინა ნომრის გამოსვლის მეორე დღეს თურქეთიდან მიღებული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ სამსუნის სასამართლომ თურქი მოზარდის სიკვდილთან დაკავშირებით წინასწარ პატიმრობაში მყოფი ექვსი ქართველი მოზარდიდან სამი ყველაზე უმცროსი გაანთავისუფლა თავდებით, მაგრამ მათ სასამართლოს მორიგ პროცესამდე თურქეთიდან გასვლის ნება არ დართო. ამ საქმის რიგით მეხუთე სასამართლო სხდომამდე ეს ბავშვები დარჩებიან ანკარაში საქართველოს საელჩოში. ვარაუდობენ, რომ ამ წლის ბოლოს დანარჩენ სამ მოზარდსაც გაათავისუფლებენ.

შეგახსენებთ, რომ თურქი ბავშვი, ფეხბურთის თამაშისას, ქართველ თანატოლებთან წამოჭრილ ჩხუბში დაიღუპა ამ ოთხი თვის წინათ.

## „XX საუკუნის სპორტული საქართველო“

ძვირფასო მკითხველო! „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა შეადგინოს წიგნი „XX საუკუნის სპორტული საქართველო“, რომელშიაც მთელი 100 წლის განმავლობაში მიღწეულ სპორტულ შედეგებთან ერთად, შევა აგრეთვე საქართველოში სპორტის განვითარების ორგანიზაციული საკითხები, იმ ადამიანების ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ამ სფეროში სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობდნენ (მნიშვნელობა არა აქვს რა საქმეს ეწეოდა და რა თანამდებობა ეკავა უშუალოდ სპორტთან დაკავშირებით).

შევსებული ანკეტა უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ რედაქციაში ან ჩაბარდეს სპორტის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამმართველოში.

სახელი, გვარი ____________________

დაბ. წელი, რიცხვი ____________________

მოკლე ცნობები თქვენს მოღვაწეობაზე ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თარიღი: __________ ხელმოწერა: ____________________

შენიშვნა: გარდაცვლილ პიროვნებებზე გამომგზავნი ანკეტაში დაბადების წელთან ერთდ დეფიზით მიუთითებს გარდაცვალების წელს.
მონაცემები უფრო ვრცლად შეიძლება წერილობით დაერთოს ანკეტას.

## მკითხველი – გაზეთი

**შეკითხვა:** ამას წინათ „ლელოში“ წავიკითხე, რომ ცნობილი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ პრეზიდენტი გახდა. ჩემში, ისევე როგორც ალბათ სხვებშიც, გაოცება გამოიწვია ვეტერანი სპორტსმენის ასეთმა ნაბიჯმა. თუ სპორტში სურდა დაბრუნება, განა კალათბურთი მისთვის უფრო ახლოს არ იყო გულთან? საერთოდ, მაინტერესებს და თუ შეგიძლიათ მიპასუხეთ, სად იყო და რას საქმიანობდა ქუთაისის „ტორპედოში“ მისვლამდე მიხეილ ქორქია?

ვაჟა გიორგობიანი, ნოდარ ბერიძე,
თბილისი

## საიდან და რატომ მოვიდა მიხეილ ქორქია ფეხბურთში?

**პასუხი:** „ლელომ“ ეს შეკითხვა ტელეფონით გააცნო თავის საკუთარ კორესპონდენტს იმერეთის მხარეში. მივიღეთ პასუხი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

თავიდანვე შეგახსენებთ, რომ მიხეილ ქორქია წარმოშობით ქუთაისელია. როგორც მან განაცხადა, „ტორპედოში“ მიიწვიეს და რადგან თავადაც სურდა სპორტში დაბრუნება, დათანხმდა. იგი კლუბში ხელცარიელი არ მისულა, „ნაწვალები“ ფული დააბანდა და ამოგებასაც ვარაუდობს კარგი საფეხბურთო პოლიტიკის წარმართვით. კალათბურთში დაბრუნებას კი ფეხბურთი სწორედ უკეთესი პერსპექტივის გამო არჩია.

რაც შეეხება ადრინდელ საქმიანობას. მიხეილ ქორქიას ბოლო წლების ბიოგრაფიაში ფიგურირებს ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა კიევში, გერმანიაში, კვიპროსში, მოსკოვში, თბილისში, თუმცა კარგა ხანს, თითქმის 8 თვე, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პასიურ ცხოვრებას ეწეოდა.

## სავარჯიშო მეხსიერებისათვის

ასე გამოიყურებოდა მონქავშირის სტენდი თბილისში



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## იყროშიძე დივიზიონში საუკეთესოა

როცა რუსეთის საფეხბურთო პირველი დივიზიონის გათამაშება დასრულდა, პრესაში განსაკუთრებით ორი მოთამაშე გამოყვეს: დივიზიონის რჩეული სნაიპერი — ტულის „არსენალში“ მოთამაშე ბრაზილიელი ანდრადინა (27 გოლი) და საუკეთესო მეკარე იური ოყროშიძე, რომელიც ამჟამად სარატოვის „სოკოლში“ გამოდის. აღსანიშნავია, რომ ამავე გუნდში კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულეა — გ. ჯელაძე.

## სომხეთში რჩეულები დაასახელეს

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ 1998 წლის სეზონის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. ქვეყნის რჩეული ფეხბურთელია კლუბ „ცემენტის“ წევრი არტურ ვოსკანიანი. ამავე კლუბის დამრიგებელი ვარუჟან სუკიასიანი დასახელებულია საუკეთესო მწვრთნელად. რჩეული მეკარე გახდა „ერევნის“ გოლკიპერი არუთუნ აბრამიანი, ხოლო ბომბარდირის წოდება არგუნეს „დვინის“ თავდამსხმელ არამ ჰკოფიანს.

## ფიფაში გენმდივანი დაინიშნა

ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ ემახსოვრებათ წარსულში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, შვეიცარიელი მიშელ ზენ-რუფინენი. სწორედ იგი აირჩიეს გასულ კვირას ფიფას გენერალურ მდივნად. პრაქტიკულად, ზენ-რუფინენი უკვე მაისიდან ასრულებდა ამ მოვალეობას, ვინაიდან ზეპ ბლატერი ჩაბმული იყო ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში. ისევე, როგორც ბლატერი, ზენ-რუფინენიც შვეიცარიელია. ამგვარად, ამ ქვეყნის მოქალაქეებს სრული მონოპოლია აქვთ ფიფაში.

## იურანი „სპარტაკში“ ბრუნდება

როგორც მოსკოვის „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა გრიგორი ესაულენკომ განაცხადა, უკვე მიღწეულია მოლაპარაკება სერგეი იურანის ბუნდესლიგის კლუბ „ბოხუმთან“ მოსკოვში დაბრუნების შესახებ. ცნობილია თანხაც, რომელიც „სპარტაკმა“ გერმანელებს უნდა გადაუხადოს. გასაგებია, იგი ასტრონომიული არ არის. „სპარტაკს“ ძალიან უჭირს თავდასხმაში და ამიტომაც ფიქრობს, რომ ეს ფორვარდი აშკარად გამოადგება.

## ინტერესი კანიჩშევისადმი

ერთდროულად რამდენიმე ესპანურმა კლუბმა, რომლებსაც არ ასახელებენ, გამოხატა ინტერესი „სპარტაკის“ თავდამსხმელ ანატოლი კანიშჩევისადმი. თუკი ხელშეკრულება არც ერთ მათგანთან არ დაიდო, მაშინ კანიშჩევი გაემგზავრება გერმანიაში, სადაც „დუისბურგისაგან“ უკვე კონკრეტული წინადადებაა მიღებული. ბუნდესლიგის ამ კლუბში რუსი თავდამსხმელი შეიძლება ადრეც გადასულიყო, მაგრამ სოჭში, შეკრებაზე კანიჩშევი დაშავდა და მისი გამგზავრება გერმანიაში გადაიდო.

## რონალდო: „მე ის აღარა ვარ“

როგორც „ინტერიდან“ განთავისუფლებულმა მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ განაცხადა, რონალდო გუნდის ყველა მატჩში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

— მას მუხლის ქრონიკული ტრავმა აქვს, იტალიის ჩემპიონატის მორიგი ორი მატჩი უნდა გამოტოვოს.

რონალდო სავსებით ეთანხმება თავისი ყოფილ მწვრთნელს:

— ჩემი ტრავმა ქრონიკული ხასიათისაა. ისე რომ, არ შემიძლია ყველა მატჩში მონაწილეობის მიღება. სამწუხაროდ, ის მოთამაშე აღარა ვარ, რაც შარშან ვიყავი.

## ბლოხინი – 2000 წლამდე

საბერძნეთის არაერთგზის ჩემპიონ აეკ-ის (ათენი) დირექტორატთა საბჭომ კლუბის მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა ოლეგ ბლოხინი, რომელიც კარგა ხანია ამ ქვეყანაში მუშაობს. კონტრაქტი 2000 წლის ზაფხულამდეა გაფორმებული. ეს სეზონი ბლოხინმა სხვა ბერძნული კლუბის, სალონიკის პაოკ-ის მწვრთნელად დაიწყო, მაგრამ გუნდი მარცხიანად თამაშობდა და უკრაინელი მალე გაანთავისუფლეს.

## სალენკო ჩივის და მოგზაურობს

ოლეგ სალენკო თურქულ კლუბ „ისტანბულსპორს“ უჩივის. ამ კლუბს ლეგიონერის გვარიანი თანხა მართებს, მაგრამ გადახდას არ ჩქარობს. თვით 29 წლის ფეხბურთელმა დატოვა გუნდი და ახლა შინ, კიევში იმყოფება.

— დეკემბრიდან თავისუფალი აგენტი ვარ და დავუკავშირდები ჩემთვის საინტერესო კლუბებს. აქამდეც ბევრი კლუბი მიკავშირდებოდა, მაგრამ როგორც კი შეიტყობდნენ, რომ თურქებთან ექნებოდათ საქმე, სადღაც გაქრებოდნენ ხოლმე. თავის დროზე ბრაზილიაში, რესიფეს კლუბ „სპორტში“ ვაპირებდი გადასვლას, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა. ახლა არგენტინაში მიხმობენ, თუმცა კონკრეტულად ჯერ არ ვიცი, რომელ კლუბში. ისე კი, არგენტინაში სულ 5-6 კლუბს თუ აქვს პროფესიული სტატუსი. ერთი სიტყვით, რომელიმე კარგ კოლექტივში გადავალ. ისე კი, ესპანეთში თამაში მირჩევნია. ჩემი აგენტი ცდილობს შემირჩიოს რომელიმე, არც ისე ძლიერი, ესპანური კლუბი, რომელსაც უმაღლესი ლიგის დატოვება ემუქრება. მათ კი,



როგორც წესი, თავდამსხმელები სჭირდებათ. ასეთი რამ ადრეც გამომიცდია: არც ისე ძლიერ „ლოგრონიესში“ ვთამაშობდი, სადაც თავი გამოვიჩინე და მალე უკვე „ვალენსიაში“ აღმოვჩნდი.

მას შემდეგ, რაც თურქეთიდან წამოვიდა, სალენკომ რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩაატარა „შვეიცარიის „ქსამაქსში“. მთელი ზაფხული კი „ვალენსიის“ ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობდა.

# ოჯახური ტანდემი — ქუთაისიდან ნოვოსიბირსკში

სულ ორიოდე წლის წინათ ისინი ერთად თამაშობდნენ ქუთაისის „ტორპედოში“ — მამა-შვილი მერაბ და გია მეგრელაძეები. მერე მოხდა ისე, რომ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უხუცესი წევრი ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ (რუსეთის ჩემპიონატში ეს გუნდი მეორე დივიზიონში გამოდის) გადავიდა, ახლა კი, როგორც „ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი იტყობინება, ციმბირულ კლუბში გადასასვლელად მეგრელაძე-უმცროსიც ემზადება. მაშ ასე, გაისიდან „ჩკალოვეცში“ ქართული ოჯახური ტანდემი ითამაშებს — 42 წლის მერაბი და 19 წლის გია. გუნდის მთავარი მწვრთნელი სერგო იროშმაშვილი იმედოვნებს, რომ მეგრელაძეებისა და ომანიდან დაბრუნებული მურთაზ ნაჭყებიას ერთობლივი გარჯა შედეგს გამოიღებს და „ჩკალოვეცი“ პირველი დივიზიონის საგზურს მოიპოვებს.





იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტოგასამართ სადგურებზე: „სავულიჩი“, „სიერა'ოილი“, „მარს'ოილი“, „გიოჩი“, „დემეტრა“

თბილისის საწყობიდან:
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

უფასოდ:
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.


# მიეძღვნა ჯონი კაკალაძისა და ალეკო ფევაძის ხსოვნას

ბათუმის საფეხბურთო სკოლის მინდორზე ათ დღეს არ დამცხრალა ნორჩ ფეხბურთელთა ჟრიამული — გათამაშდა ცნობილი ფეხბურთელის, ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მარჯვენა ნახევარმცველის, სპორტის ოსტატ ჯონი კაკალაძისა და ბათუმის საბაყოს ფეხბურთელთა გუნდის ტექნიკური დირექტორის ალეკო ფევაძის ხსოვნის თასი (1984-1985 წლებში დაბადებულთათვის).

ტურნირებში მონაწილეობდნენ ბათუმის გუნდები „დინამო“ I და II, განათლების ოთხი, „მენავთობე“ და ხელვაჩაურის „შევარდენი“.

მატჩში მესამე ადგილისათვის — ერთმანეთს შეხვდნენ განათლების განყოფილების პირველი და ხელვაჩაურის „შევარდენის“ გუნდები.

ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა 3-3, პენალტების სერიაში უფრო ზუსტი აღმოჩნდნენ ხელვაჩაურელი მოსწავლეები და გაიმარჯვეს კიდეც საერთო ანგარიშით 6-5, რაც „შევარდენის“ (მწვრთნელი ბადრი ცისკარიძე) ფეხბურთელების დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ბათუმის „დინამოს“ პირველ და განათლების განყოფილების მეორე გუნდები. თავიდანვე დინამოელ სპორტსმენთა უპირატესობა აღინიშნებოდა და მატჩიც მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა 4-0.

ჯონი კაკალაძისა და ალეკო ფევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გარდამავალი ვერცხლის თასი გადაეცა „დინამოს“ პირველ გუნდს (მწვრთნელები ტარიელ ქიშმარია და გივი იმნაძე).

დაჯილდოებას დაესწრნენ ჯონი კაკალაძის ქალიშვილი თათია და ალეკო ფევაძის ძმა სოსო, რომლებმაც გამარჯვებულ გუნდს და ფეხბურთელებს სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბრთელებად აღიარეს ირაკლი მაკარაძე („დინამო“-I), საუკეთესო მეკარედ — კოკა კალანდაძე („განათლება“ — I), საუკეთესო მცველად — ზური დუმბაძე („დინამო“-I), საუკეთესო ნახევარმცველად — ალეკო ბოცვაძე („შევარდენი“), ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის ჯილდო ერგო ბექა ძნელაძეს („მენავთობე“).

პრიზები ნორჩ ფეხბურთელებს გადასცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა იური ცანავამ, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ვერულიძემ, ბათუმის საბაყოს ფეხბურთელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ფურცვანიძემ და ვეტერანმა ფეხბურთელმა ალეკო ჩხარტიშვილმა.

ტურნირის ორგანიზატორებმა და ფეხბურთელებმა მოინახულეს და ყვავილებით შეამკეს ჯონი კაკალაძისა და ალეკო ფევაძის საფლავები.

ამიერიდან ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი ტრადიციული გახდება. და ბოლოს მადლობა გვინდა ვუთხრათ ბათუმის საბაყოს სპორტის მესვეურებს ამ ტურნირის მოწყობისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკ. კორ.,
ბათუმი

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## მეორე ჯგუფი • პირველი წრე

## საბოლოო ცხრილები

### დასავლეთი ზონა

„ა“ ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი (ვანი) | 12 | 11 | 1 | 0 | 34-9 | 34 |
| მარგვეთი (ზესტ.) | 12 | 10 | 2 | 0 | 43-15 | 32 |
| მეშახტე (ტყიბული) | 12 | 9 | 1 | 2 | 28-14 | 28 |
| დინამო (გაგრა) | 12 | 9 | 0 | 3 | 26-12 | 24 |
| სამგურ.-2 (წყალტ.) | 12 | 7 | 2 | 3 | 25-20 | 23 |
| ოკეანე (სამტრედია) | 12 | 6 | 1 | 5 | 14-20 | 19 |
| რიონი (ქუთაისი) | 12 | 4 | 1 | 7 | 17-17 | 13 |
| რაჭა (ამბროლაური) | 12 | 4 | 0 | 8 | 21-26 | 12 |
| ტორპედო-2 (ქუთ.) | 12 | 3 | 1 | 8 | 13-21 | 10 |
| საირმე (ბაღდათი) | 12 | 3 | 1 | 8 | 7-21 | 7 |
| ჩიხურა (საჩხერე) | 12 | 2 | 2 | 8 | 15-32 | 5 |
| იბერია-2 (სამტრ.) | 12 | 1 | 1 | 10 | 10-28 | 4 |
| მაღაროელი (ჭიათ.) | 12 | 1 | 3 | 8 | 18-36 | 3 |

*შენიშვნა: „დინამოს“, „ჩიხურას“, „საირმეს“, „მაღაროელს“ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*

„ბ“ ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხობი) | 12 | 9 | 2 | 1 | 37-7 | 29 |
| სქური (წალენჯიხა) | 12 | 8 | 1 | 3 | 34-23 | 25 |
| მერცხალი (ოზურგ.) | 12 | 7 | 1 | 4 | 23-14 | 22 |
| ფაზისი (ფოთი) | 12 | 7 | 1 | 4 | 19-10 | 22 |
| შუქურა (ქობულ.) | 12 | 7 | 1 | 4 | 23-19 | 22 |
| ენგური (განმუხური) | 12 | 6 | 3 | 3 | 25-19 | 21 |
| კოლეჯი (ბათუმი) | 12 | 6 | 3 | 3 | 16-11 | 21 |
| სამეგრელო (ჩხორ.) | 12 | 4 | 3 | 5 | 16-16 | 15 |
| ეგრისი (სენაკი) | 12 | 3 | 4 | 5 | 16-20 | 13 |
| ბახმარო (ჩოხატ.) | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| ოდიში-2 (ზუგდიდი) | 12 | 2 | 4 | 6 | 13-22 | 10 |
| სალხინო (მარტვ.) | 12 | 2 | 0 | 10 | 19-43 | 6 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 12 | 1 | 1 | 10 | 10-34 | 4 |

### ცენტრალური ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 (თბ.) | 13 | 11 | 0 | 2 | 34-12 | 33 |
| ცხინვალი | 13 | 10 | 1 | 2 | 38-10 | 28 |
| ლოკომოტივი-2 (თბ.) | 13 | 9 | 1 | 3 | 38-17 | 28 |
| იბერია (ქარელი) | 13 | 9 | 1 | 3 | 25-9 | 28 |
| ივერია (ხაშური) | 13 | 8 | 3 | 2 | 35-15 | 27 |
| გантიადი (კასპი) | 13 | 6 | 3 | 4 | 21-21 | 21 |
| ცხუმი (სოხუმი) | 13 | 5 | 2 | 6 | 27-21 | 17 |
| იბერია (თბილისი) | 13 | 5 | 1 | 7 | 31-30 | 16 |
| მესხეთი (ახალც.) | 13 | 4 | 3 | 6 | 22-28 | 15 |
| საუ (თბილისი) | 13 | 4 | 3 | 6 | 19-23 | 15 |
| თორი (ბორჯომი) | 13 | 4 | 1 | 8 | 17-24 | 13 |
| დილა-2 (გორი) | 13 | 2 | 2 | 9 | 21-34 | 8 |
| ჟინერი (ჟინვალი) | 13 | 1 | 2 | 10 | 18-73 | 5 |
| ვარძია (ასპინძა) | 13 | 0 | 3 | 10 | 9-39 | 3 |

*შენიშვნა: „ცხინვალს“ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დაკლებული აქვს 3 ქულა.*

### აღმოსავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია (თბ.) | 14 | 12 | 1 | 1 | 36-5 | 37 |
| ყვარელი | 14 | 11 | 3 | 0 | 30-6 | 36 |
| ლარწყალი (ძვ. ანაგა) | 14 | 10 | 4 | 0 | 31-11 | 34 |
| ხალიბი (რუსთავი) | 14 | 9 | 0 | 5 | 28-15 | 27 |
| არსენალი-2 (თბ.) | 14 | 7 | 2 | 5 | 23-14 | 23 |
| ჭაბუკიანი (ლაგოდ.) | 14 | 8 | 1 | 5 | 23-17 | 22 |
| დინამო-3 (თბ.) | 14 | 7 | 1 | 6 | 17-21 | 22 |
| ალგეთი (მარნ.) | 14 | 7 | 0 | 7 | 26-20 | 21 |
| ზოოვეტი (თბ.) | 14 | 6 | 3 | 5 | 28-24 | 21 |
| კახეთი (თელავი) | 14 | 5 | 3 | 6 | 19-24 | 18 |
| უნივერს. „იბერია“ | 14 | 3 | 4 | 7 | 14-20 | 13 |
| სამგორი | 14 | 3 | 3 | 8 | 20-27 | 12 |
| მრეტები (თბ.) | 14 | 1 | 1 | 12 | 13-34 | 4 |
| ალაზანი (გურჯ.) | 14 | 1 | 0 | 13 | 11-49 | 3 |
| ქანაგკო (სართიჭალა) | 14 | 1 | 2 | 11 | 10-41 | 2 |

*შენიშვნა: „ჭაბუკიანს“ და „ქანაგკოს“ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ...

**ინგლისის 1997-98 წლების ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ვის შეეძლო ემსჯელა, რომ ბირმინგემის „ასტონ ვილა" მომდევნო პირველობაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ოქროს მედლებისათვის იბრძოლებდა. გასაგებია, ბირმინგემელები მტკიცედ და საიმედოდ თამაშობდნენ (მეშვიდე ადგილი დაიკავეს), მაგრამ, ის, რომ „ასტონ ვილა" თითქმის მთელი პირველი წრის განმავლობაში ლიდერი იქნებოდა და პირველ მარცხს მხოლოდ მეთოთხმეტე ტურში თუ იგემებდა, ამას არავინ ელოდა.**

რვა ტურის შემდეგ „ასტონ ვილა" მთელი 6 ქულით უსწრებდა „მანჩესტერ იუნაიტედს" (მართალია ვიცე-ჩემპიონმა მეორე ტურში მატჩი გამოტოვა „ჩელსისთან"), შემდეგ კი, ლიდერმა რამდენიმე შეხვედრა ფრედ დაასრულა და განსხვავება მდევრებთან რამდენადმე შემცირდა. მე-11 ტურში „ასტონ ვილას" გასვლითი მატჩი ლონდონში „ჩელსისთან" ცუდი ამინდის გამო გადაიდო, მაგრამ მომდევნო შეხვედრა შინ ლიდერმა კარგი სტილით მოიგო (3-2) ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან". თავი გამოიჩინა „კოვენტრი სიტიდან" ძვირად იყო შეძენილმა დაიონ დაბლინმა (რომელსაც „კოვენტრიში" 7 გოლი ჰქონდა გატანილი), რომელმაც ორჯერ აიღო სტუმრების კარი, ერთის ავტორი კი ვეტერანი სტენ კოლიმორი გახდა.



მოულოდნელ ლიდერს დიდხანს ძირითად კონკურენციას ჩემპიონი „არსენალი" და ვიცე-ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" უწევდნენ. „მანჩესტერში" წინა ხაზზე ძალიან კარგად თამაშობენ შავკანიანი თავდამსხმელები ენდი კოული და ამ სეზონში მოწვეული დუაიტ იორკი. კიდევ ერთი ახალწვეული ნახევარმცველი შვედი იესპერ ბლუმკვისტი, მიმომხილველების აზრით, ადრე უფერულად თამაშობდა როგორც „პარმაში", ისე „მილანში", აი, ინგლისურ კლუბში კი ძალიან კარგად მოქმედებს. როგორც მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, შვედმა ძალიან კარგად შეცვალა მძიმედ დაშავებული რაიან გიგზი და ექვგარეშეა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა. საინტერესოა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" ხანდახან გამოჩნდება ხოლმე ჰორდი კრუიფი, ერთხელ გოლიც გაიტანა, მაგრამ მისი ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად გამოყვანის საკითხი კვლავ ბუნდოვანია.

ბოლო ტურში მკვეთრად გაიუმჯობესა მდგომარეობა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა", რომელიც ლიდერთა დავაშიც კი ჩაერია. ლონდონის „ჩელსი" შარშანდელივით ძლიერად თამაშობს. მას ორი მატჩი აქვს გამოტოვებული და თეორიულად პირველ ადგილზე გადასვლის შესაძლებლობასაც ინარჩუნებს. მას შემდეგ, რაც მეთხუთმეტე ტურში „შეფილდ უენსდეისთან" ფრედ 1-1 ითამაშა, ვიალის გუნდმა თავისი წაუგებელი მატჩების სერიის რიცხვი ცხრამეტამდე გაზარდა. ამასთან, თვით იტალიელი აპირებს წოდება თუ თანამდებობა „მოთამაშე მწვრთნელი" უბრალოდ, „მწვრთნელად" შეცვალოს: „არ იფიქროთ, რომ მე თავს მინდორზე სხვებზე უარესად ვგრძნობდე. არა, არც ვილლები და ძალაც საკმაოდ მაქვს. მაგრამ ამასთან, ეტყობა, უკვე აღარა ღირს 34 წლის კაცი ეჯიბრებოდეს ისეთ თავდამსხმელებს, „ჩელსის" რომ ჰყავს. ვიალის სიტყვით, მას ძალიან უჭირს იმ მოთამაშეებთან გამოთხოვება, გუნდიდან რომ მიდიან. ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო ბრაიან ლაუდრუპზე. „ჩემი მთავარი ამოცანაა გავაბედნიერო 35 ათასი მაყურებელი, „ჩელსის" თამაშზე დასასწრებად რომ მოდის, გავახარო კლუბის ხელმძღვანელობა. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა იციან, სულაც არ მსიამოვნებს, როცა მათ ჰყიდიან. ამიტომაც მათთან რაიმე პრობლემა არ წამომეჭრება ხოლმე". ვიალიმ განაცხადა, რომ არ აპირებს კლუბის დატოვებას, სანამ კონტრაქტის ვადა არ ამოიწურება (კიდევ ორწელიწადნახევარი დარჩა). „თუკი დავრჩები, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. რა იქნება შემდეგ, არ ვიცი, შესაძლოა ახალი მოტივაცია გამიჩნდეს, ახალ მოთამაშეებთან მუშაობის სურვილი. შეიძლება რომელიმე სხვა კლუბში გადავიდე, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება იტალიური. იქ მწვრთნელებზე ძალიან დიდ ზეწოლას ახდენენ: ასეა თუ ისე, ახლა მთლიანად „ჩელსის" საქმეებზე ვარ კონცენტრირებული".

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, რას მიაღწევს ეს კლუბი, რომელშიც თითქმის არ თამაშობენ ინგლისელი ფეხბურთელები, წამყვანი პოზიციები კი ფრანგებს, იტალიელებს ესპანელს, ჰოლანდიელს, რუმინელს, ნორვეგიელსა და ნიგერიელს უკავიათ. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული გამოწვევაა ინგლისური ფეხბურთისათვის, თუმცა უცხოელებით სხვა კლუბებიც სავსეა. აქ ვთქვათ ისიც, რომ „ჩელსის" დაახლოებით ნახევარი წლით გამოაკლდა პიერლუიჯი კაზირაგი.

## ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

ლონდონის „არსენალი", შეიძლება, ისე კარგად ვერ თამაშობს, როგორც წინა ჩემპიონატში, მაგრამ არაფრის დათმობას არ აპირებს. ცალკეულ მატჩებს ძლიერად ატარებს ჰოლანდიელი გარემარბი მარკ ოვერმარსი, შესაძლოა, ლიგის ყველაზე კარგი დრიბლიორი. იგი კარგად არის შეწყობილი ფერადკანიან ფრანგ ნიკოლა ანელკასთან.

„ლივერპულში", რომელიც ჯერჯერობით იმაზე უარესად თამაშობს, ვიდრე ექსპერტები მოელოდნენ, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება მოხდა. მას, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, უკანასკნელ ხანებამდე ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა: ფრანგი ჟერარ ულიე და როი ევანსი. ისინი, თითქოს შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ყოველ შემთხვევაში, პრესისთვის რაიმე კონფლიქტზე არაფერი იყო ცნობილი. და აი, საკმაოდ მოულოდნელად ევანსმა განაცხადა, რომ სტოვებს გუნდს და ახლა ყველაფერს ფრანგი სპეციალისტი გადაწყვეტს. კვლავინდებურად დიდ ყურადღებას იპყრობს 18 წლის ვუნდერკინდი მაიკლ ოუენი. საინტერესოა, რომ მას კარგა ხანს გოლები მხოლოდ მეტოქის მინდვრებზე გაჰქონდა. ეს „ტრადიცია" მეათე ტურში დაარღვია, როცა ლივერპულელებს ბრწყინვალე თამაში უჩვენა. მატჩი „ნოტინგემ ფორესტთან" „ლივერპულმა" ანგარიშით 5-1 მოიგო, ოუენმა ოთხი გოლი გაიტანა, ერთი კი სტივ მაკმანამანმა, რომელსაც, ახალი სეზონიდან, როგორც ამბობენ, ესპანეთში იხილავენ.

რა ხდება რუუდ გულიტის „ნიუკასლში", სადაც თითქმის არა ჩანს თემურ ქეცბაია?. როგორც ინგლისის ნახევარმცველმა დევიდ ბეტიმ განაცხადა, იგი გუნდში აღარ დარჩება. გულიტმა კი თქვა: „დევიდმა ტრანსფერი მოითხოვა და ჩვენც დავთანხმდით. ეს საკითხი „ნიუკასლ იუნაიტედში" ჯერ კიდევ ჩემს გადმოსვლამდე იდგა". ბეტის თავის მშობლიურ ქალაქ ლიდსში სურს თამაში, რომლის გუნდი ახლა ლიდერების სიახლოვესაა. ბეტი იქ დაიბადა, მისი ოჯახიც ლიდსში ცხოვრობს, მაგრამ კონკრეტული წინადადება „ნიუკასლს" ჯერ არ მიუღია. ისე კი, ინგლისელი მიმომხილველების აზრით, „ლიდს იუნაიტედს" შეუძლია „ნიუკასლს", 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეაძლიოს (იგი 1996 წლის მარტში „ბლეკბერნისაგან" 3,75 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა). თვით „ნიუკასლმა" კი, ექსპერტების შეფასებით, ძალიან კარგი გააკეთა, როცა „ევერტონს" შესანიშნავ თავდამსხმელ დანკან ფერგიუსონში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. მან თავის ახალ კლუბში პირველივე მატჩში ლონდონის „უიმბლდონთან" (3-1) ორი გოლი გაიტანა. ამ გოლიათური აღნაგობის სნაიპერზე გულიტი დიდ იმედებს ამყარებს.

მაშ ასე, ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა და ყოველ ახალ ტურს ცვლილებები შეაქვს. ჯერ რა დროსაო, იტყვის მკითხველი, მაგრამ გამოიკვეთა ის სამეულიც, რომელიც სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა. ესენია, პირველ რიგში ძალიან სუსტად მოთამაშე „ბლეკბერნი", (არც ისე დიდი ხნის წინათ ინგლისის ჩემპიონი რომ იყო!), აგრეთვე „საუთჰემპტონი" და „ნოტინგემ ფორესტიც". შაბათს მე-16 ტურის ცენტრალურ მატჩში ბირმინგემში ერთმანეთს შეხვდნენ „ასტონ ვილა" და „მანჩესტერ იუნაიტედი". სტუმრების ნახევარმცველმა სქოულზმა ანგარიში გახსნა, მაგრამ შემდეგ ჯოაკიმმა აღადგინა წონასწორობა — 1-1.

ახლა „ასტონ ვილას" 30 ქულა აქვს და ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს".

გივი გამრეკელი

### რომანცევი და ლობანოვსკი?

*ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა წლის საუკეთესო მწვრთნელის კანდიდატების სია. როგორც ამ ფედერაციის პრეზიდენტმა ალფრედო პეგემ განაცხადა, ლაუარეატები შეირჩევიან ორი ნომინაციით: ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები (21 პრეტენდენტი) და კლუბების მწვრთნელები (27). ბოლო ნომინაციაში ჩემპიონთა ლიგისა და „ლიბერტადორესის თასის" კლუბების მწვრთნელებთან ერთად შევიდნენ სხვებიც, რომლებსაც ფედერაციის რეიტინგში მაღალი ადგილები უკავიათ. მათ შორის არიან მოსკოვის „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი და კიევის „დინამოს" ხელმძღვანელი ვალერი ლობანოვსკი. გამარჯვებულების გვარები დეკემბერშივე გახდება ცნობილი, ხოლო ჯილდოები გადაეცემათ მსოფლიო საფეხბურთო გალა-წარმოდგენაზე, რომელიც 1999 წლის 11 იანვარს გაიმართება გერმანულ ქალაქ როტენბურგში.*

### უეფას ინსპექტორებს ლუჟნიკი მოეწონათ

*იმასთან დაკავშირებით, რომ უეფას თასის ფინალური მატჩის ჩატარება 12 მაისს მოსკოვშია დაგეგმილი, უეფას დელეგაციამ დაათვალიერა ოლიმპიური სტადიონი ლუჟნიკი. ტომას კურტმა, რომელიც უეფაში საკლუბო შეჯიბრებების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, სხვა დელეგატებთან ერთად მოიწონა სარბიელი. მას „ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული არენაც" კი უწოდეს.*

# რამდენად რეალურია კასპაროვისა და შიროვის მატჩი?

## ასეთი კითხვით მიმართეს ჟურნალისტებმა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს



კასპაროვი

— ამ მატჩის მოწყობის შესახებ სევილიასა და ლინარესში სერიოზული წინადადებები მივიღეთ სენიორ ლუის რენტეროსაგან. თუ რატომ არ განხორციელდა იგი, ეს, ალბათ, ისევ რენტეროს უნდა ვკითხოთ. როცა მან მატჩის ჩატარებაზე უარი განაცხადა, ძალიან შევეცადეთ ამ წელს სადმე სხვაგან მაინც გვეთამაშა. ასეთ ვითარებაში სერიოზული წინადადება მივიღეთ ლოს-ანჯელესიდან, სადაც უნდოდათ შეხვედრის 1998 წლის ნოემბერში ჩატარება. ამ მატჩზე რომ დავთანხმებულიყავი, ალექსეი შიროვი მაინც უარს იტყოდა, რადგან საპრიზო ფონდი არც ისე დიდი იყო. მაშინ ზოგიერთ ძველ წინადადებას დავუბრუნდით, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე შიროვმა თქვა, რომ ახალ საინტერესო შემოთავაზებას ელის და სანამ ბარსელონასა და ტარასასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, სჯობს მოვიცადოთ. არც აქედან გამოვიდა რაიმე, ისე რომ, დღეისათვის არ ვიცით, საიდან რას უნდა ველოდეთ.

● ***თუკი შიროვი და კატალონიის წარმომადგენლები მოილაპარაკებენ, დათანხმდებით ითამაშოთ?***

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა პირობებს შემოგვთავაზებენ, როდის ვითამაშებთ და ა.შ. იმასაც მნიშვნელობა აქვს, როდის მივიღებთ ამ წინადადებას.

● ***რა დაემართათ მისტერ რენტეროს და მის მიერ შექმნილ „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს"?***

— ჩვენ ყველანი ველით მისგან ცნობებს, მაგრამ იგი დუმს.

● ***როცა ამბობთ „ჩვენ", ვის გულისხმობთ?***

— კრამნიკს, შიროვს, დოქტორ უილიამ ვერტსა და საკუთარ თავს.

● ***რა მომავალი აქვს „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს?"***

— ამ მომენტში არ ვიცი, აქვს თუ არა საერთოდ მას მომავალი.

● ***როგორ ჩაერთო დოქტორი უილიამ ვერტი „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს" საქმიანობაში?***

— მას დიდი სახელი და გავლენა აქვს საბანკო, მწარმოებელ და საჭადრაკო სამყაროში. როცა „მსოფლიო საჭადრაკო საბჭო" ჩამოყალიბდა, ლოგიკური იყო, რომ მას დახმარებისათვის მიმართეს. იგი ის კაცი არ არის, რომელიც იოლად იხევს უკან და სულიერად ეცემა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან ინანებს, რომ „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს" დაუკავშირდა.

● ***რა ურთიერთობა გაქვთ ლუის რენტეროსთან?***

— როგორც არაერთხელ განვაცხადე, იმ მომენტიდან, როცა ლინარესის შეჯიბრებების ჩატარება დაიწყო, რენტერის ძალზე დადებითად ვეკიდებოდი, მომწონდა მისი საქმიანობა. მას ყველაფერი გამოუდიოდა, და როცა ყველაფერი ჩაუვარდა, ეს ადამიანურად გასაგებიც იყო, აი, ის კი ვერ გავიგეთ, რატომ არ უნდოდა ეთქვა ჩვენთვის, რატომ მოუვიდა, რატომ განიცადა ფიასკო. კრამნიკ-შიროვის მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რენტერი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა და ეტყობა, მსოფლიო პირველობაზე შეხვედრის მოწყობას ველარ მოახერხებდა. ლუის რენტერი ჩვენს დამშვიდებას შეეცადა, შეგვატყობინა, რომ მატჩი მაინც დათქმულ ვადაში ჩატარდებოდა. როცა მატჩი ჩაიშალა, ამან ყველანი დიდად დაგვაზარალა. რაც შემეხება პირადად მე, ჩემი ზარალი განსაკუთრებით დიდია, რადგან ივნისიდან მოყოლებული მთელი ჩემი დრო შიროვთან მატჩისადმი სამზადისს მოვანდომე. უარი განვაცხადე რამდენიმე შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. მხოლოდ იან ტიმანთან ვითამაშე პრალაში მატჩი, რომელსაც განვიხილავდი, როგორც საწვრთნელს. იმან, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩი აღარ გაიმართა, მე უტურნირებოდ დამტოვა. ტილბურგის და ვეიკ-ან-ზეეს საერთაშორისო ტურნირების შემადგენლობა უკვე შევსებული იყო. ძალიან დიდი ზარალი ვნახე, შემეძლო გვარიანი თანხა მიმეღო. ვიცი, რომ ასეთივე ზარალი შიროვმაც ნახა.



ლუის რენტერო

ამასთან, ლუის რენტერის მიმართაც სამართლიანი უნდა ვიყოთ. იგი თვალსაჩინო საჭადრაკო მოღვაწეა. არაერთი დიდი შეჯიბრების ორგანიზატორი ყოფილა და, უნდა ვიფიქროთ, მომავალშიც ამას გააკეთებს.

● ***ამჟამად რას საქმიანობთ?***

— ცხოვრება გრძელდება. ვსწავლობთ ბესელ კოკის შემოთავაზებულ წინადადებას (რომელიც კასპაროვის მატჩის ჩატარებას ითვალისწინებს იმასთან, ვინც ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვებს), თვალყურს ვადევნებთ იმ ტურნირებსა და მატჩებს, რომლებიც საჭადრაკო სამყაროში მიმდინარეობს. 1999 წელი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება. იმედი მაქვს, მსოფლიო პირველობაზე მატჩიც მოეწყობა.

● ***მიწვეული ხართ ლას-ვეგასში?***



შიროვი

— არა და არცკი ვითამაშებდი იმავე მიზეზების გამო, რის გამოც შარშანდელ შეჯიბრებაშიც არ ჩავედი გრონინგენსა და ლოზანაში.

● ***აქვს თუ არა შიროვს უფლება თქვენზე ნაწყენი იყოს, თუკი ვერ მოხერხდა მისი, როგორც პრეტენდენტის უფლებების რეალიზაცია?***

— მას შეუძლია ნაწყენი იყოს, მაგრამ პირადად მე არაფერ შუაში ვარ. ჩვენ ორივენი მსხვერპლნი ვართ, დიდი ზარალი განვიცადეთ. ამასთან, ჩემი დანაკლისი კიდევ უფრო დიდია, ვიდრე მისი. როცა ლინარესისა და სევილიის ვარიანტი არარეალური აღმოჩნდა, ლოს-ანჯელესმა შიროვს მატჩი შესთავაზა ჩემთან, სადაც წაგებულ 350 ათას დოლარს მიიღებდა (ალექსეი შიროვი ამტკიცებს, რომ ეს რიცხვი აშკარად გაზვიადებულია. ***რედ.***). ნუ დაივიწყებთ, რომ მას შეეძლო მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო. მაშინ გაბედა და მეტი თანხა მოითხოვა, არ დაეთანხმნენ და ჩვენ ორივენი მშრალზე დავრჩით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მირჩა ლუჩესკუ: „17 წლის ასაკიდან „ინტერზე“ შეყვარებული ვარ“

**მირჩა ლუჩესკუ 53 წლისაა. იგი ადრე „სტიაუასა“ და რუმინეთის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი იყო, ნაკრებში 74 მატჩი ჩაატარა. შემდეგ მწვრთნელი გახდა, 1984 წელს ევროპის პირველობაზე რუმინეთის ნაკრებს ედგა სათავეში. კარგა ხანს მუშაობდა იტალიურ კლუბებში. „ბრეშიაში“ „პიზასა“ და „რეჯანაში“, თუმცა რაიმე წარმატება არ ჰქონია. უკანასკნელ ხანებში ბუქარესტის „რაპიდის“ მწვრთნელი იყო. მილანის „ინტერში“ მისმა მიწვევამ გაკვირვება გამოიწვია.**

● ***სინიორ ლუჩესკუ, რამდენი ხანი დაგჭირდებათ ნამდვილი, თქვენი „ინტერის“ შესაქმნელად?***

— ვფიქრობ, მინიმალური ვადა, რათა მწვრთნელმა გუნდს თავისი იდეები გადასცეს, სამი თვეა, მე მხედველობაში მაქვს მოთამაშეთა ტაქტიკური განლაგება, სინქრონული მოქმედების გამომუშავება. ზოგჯერ ამაზე მეტი დრო იხარჯება, დაახლოებით ნახევარი წელი. ამიტომ ჯერ დრო მომეცით და შემდეგ იმსჯელეთ ჩემი მუშაობის ხარისხზე.

● ***დიახ, მაგრამ თქვენ ხომ მუშაობისთვის სულ 7 თვე გექნებათ. ისე ხომ არ მოხდება, რომ თქვენ გუნდს კარგად მოამზადებთ და მაშინვე იძულებული გახდებით უთხრათ: „აი, ყოჩაღ ბიჭებო, ძალიან კარგად თამაშობთ. ვწუხვარ, მაგრამ მე თქვენთან ველარ დავრჩები — თქვენ ამიერიდან სინიორ ლიპი გაგწვრთნით“.***

— საქმე ის არის, რომ „ინტერის“ ხელმძღვანელობას მე თვითონ ვთხოვე კონტრაქტი მხოლოდ ზაფხულამდე. არ მინდოდა იმ რთული სიტუაციის ბოროტად გამოყენება, რომელიც გუნდს შეექმნა და ბევრის მოთხოვნა. შედეგები კი ივნისში შევაჯამოთ.

● ***ეტყობა, კონტრაქტის გაგრძელების იმედები თქვენ მაინცდამაინც არ უნდა გქონდეთ. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში ხომ ხდება, ახალგაზრდულ გუნდში მუშაობას შემოგთავაზებენ.***

— ჩვენ პრეზიდენტ მორატისთან ამ საკითხზე ჯერჯერობით საუბარი არა გვქონია.

● ***გამოგვიტყდით: გულის სიღრმეში თქვენ გაქვთ იმედი, რომ მორატის მოეწონებით და ლიპის აღარ მოიწვევს?***

— ასე ვიტყოდი: სალი ამბიცია ჩემთვის უცხო არ არის. სულაც არ მეშინია, რომ „ინტერში“ მცირე ხნით უნდა ვიმუშაო, — ბუქარესტის „რაპიდის“ კარი ჩემთვის ყოველთვის ღიაა. მე შემიძლია ამ გუნდს ნებისმიერ მომენტში დავუბრუნდე. მე „რაპიდი“. რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერად დავტოვე, ასეთად დარჩება იგი გაზაფხულამდე, რადგან ახლა რუმინეთის ჩემპიონატში საზამთრო შესვენება დაიწყო. მე მიყვარს „რაპიდთან“ მუშაობა, რუმინელებს კი ეამაყებათ, რომ მათი თანამემამულე „ინტერს“ წვრთნის. აქ რა შედეგებსაც არ უნდა მივაღწიო, სამშობლოში დავბრუნდები, როგორც ტრიუმფატორი.

● ***როგორ მოხდა, რომ მორატიმ არჩევანი მაინცდამაინც თქვენზე შეაჩერა?***

— მითხრა, რომ იგი და მისი თანაშემწეები დიდი ხანია თვალყურს ადევნებენ ჩემს მუშაობას. მორატიმ თქვა, რომ ყველა კლუბი, რომელსაც მე იტალიაში ვწვრთნიდი, თუმცა პროვინციული იყო, მაგრამ გამოირჩეოდა თამაშის ორგანიზაციით, ჩანდა სპეციალისტის ხელწერა. ამასთან, „ინტერი“ პროვინციული კლუბი ხომ არ არის, მისი თითოეული ფეხბურთელი ვარსკვლავია. ასეთი შემადგენლობით მეტოქეს ყურადღებაც კი არ უნდა მიაქციო, შენი თამაში ითამაშე. ასე აკეთებენ გუნდები, რომლებსაც სუპერკლუბები ჰქვიათ. მორატომ მომიწოდა „სან-სიროზე“ ცეცხლი დავანთო, ავაღორძინო მიმზიდველი თამაში, „ინტერმა“ ისეთი სპექტაკლები უნდა გამართოს, რაც ეკადრება.

● ***უახლოეს ოთხ მატჩს „ინტერი“ სტუმრად გამართავს. არ გეშინიათ ცვლილებები სწორედ ამ სერიის დროს დაიწყოთ?***

— ცვლილებებს მკვეთრი სახე არ ექნება. შეცდომა იქნებოდა ადრინდელისაგან არაფრის დატოვება. უნდა შევეცადოთ შედეგებს თანდათანობით მივაღწიოთ, სიტუაცია ნელნელა გამოვასწოროთ.

● ***რას იტყვით თქვენს წინამორბედ ჯიჯი სიმონიზე?***

— მან მემკვიდრეობად ისეთი გუნდი დამიტოვა, რომელიც სამ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას. ამისათვის მას მადლობა უნდა გადავუხადო.

● ***სიმონი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ რონალდოს თავისი ძლიერი თვისებების გამოსაყენებლად დიდი სივრცე სჭირდება. ამიტომაც იყო, რომ მან კონტრიერიშზე აიღო აქცენტი.***

— მე არ ვეთანხმები ამ აზრს. „ბარსელონა“, სადაც იტალიაში გადმოსვლამდე რონალდო თამაშობდა, აშკარად მოიერიშე სტილით მოქმედებდა, ამით რონალდო სულაც არ ზარალდებოდა, პირიქით, უამრავი გოლი გაჰქონდა. აი, ნახავთ, „ინტერიც“ მოიერიშე სტილით ითამაშებს.

● ***პირველივე ვარჯიშში, რომელიც „ინტერში“ ჩაატარეთ, გუნდი 3-5-2 სქემით თამაშობდა. თქვენ ამ სქემას ამჯობინებთ?***

— დიახ, ჩვენ შეიძლება ეს სქემა გამოვიყენოთ, შეიძლება 3-4-3. ჩვენ თანდათან დაცვის ზონალურ პრინციპზე გადავალთ. გუნდი, რომელსაც ასეთი მოთამაშეები ჰყავს, უფრო აგრესიულად უნდა მოქმედებდეს.

● ***თქვენ არ ითვალისწინებთ, რომ სიმონი „ინტერის“ მოთამაშეებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ისინი ყოველნაირად იცავდნენ მწვრთნელს. ხომ არ გეშინიათ, რომ მასთან შედარებით წაგებული დარჩებით?***

— არა. მე მშვენიერი ურთიერთობა მქონდა ბუქარესტის „რაპიდის“ მოთამაშეებთან. მე ეს ნორმალურ სიტუაციად მიმაჩნია, როცა ფეხბურთელს ენანება მწვრთნელის გუნდიდან წასვლა. ამასთან ყველაზე წინ მაინც პროფესიონალიზმი უნდა დავაყენოთ. მე მინდა როგორმე სიმონის შევხვდე და გულწრფელად ვისაუბროთ. ჩემთვისაც კარგად არის ცნობილი იმ სიმწარის გრძნობა, როცა გუნდიდან გითხოვენ.

● ***იცნობთ თუ არა „ინტერის“ ახლანდელი ფეხბურთელებიდან ვინმეს ახლოს?***

— ორს დიდი ხანია ვიცნობ: დიეგო სიმეონეს და ანდრეა პირლოს. ანდრეას კარიერას განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებ თვალს. მას ხომ საგზური დიდ ფეხბურთში სწორედ მე მივეცი, როცა „ბრეშიას“ ვწვრთნიდი.

● ***და მაინც, ჩვენი საუბარი ბოლომდე უთქმელის შთაბეჭდილებას სტოვებს. როგორღაც ძალიან იოლად მიატოვეთ სამუშაო ბუქარესტის „რაპიდში“, რომელიც თქვენ სიამოვნებას განიჭებდათ, მოხვედით, ასე ვთქვათ, ჭაობში, თანაც არავინ იცის, ხვალ რა მოხდება.***

— კარგი, ერთ პატარა საიდუმლოსაც გაგანდობთ. მე 17 თუ 18 წლისა ვიყავი, როცა ბუქარესტში რამდენიმე თვის მანძილზე ორჯერ ჩამოვიდა „ილ გრანდე ინტერ“ — დიდი „ინტერი“ მაცოლათი და სუარესით. იგი ორ მატჩში შეხვდა ჩემპიონთა თასზე ბუქარესტის „დინამოს“. მე უკვე „დინამოს“ პირველ გუნდში ვირიცხებოდი, მაგრამ ამ მატჩებს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალყურს. დღემდე მახსენდება აღტაცების ის გრძნობა, მაშინ რომ დამეუფლა. იმ დროიდან მოყოლებული, ისევე, როგორც ჩემი თანამემამულეების მილიონებს, მეც შემიყვარდა „ინტერის“ შავ-ცისფერი მაისური. სწორედ იმ დროიდან მოყოლებული რუმინეთში ძალიან ბევრი „ინტერის“ გულშემატკივარია.

## რა ელის „სპარტაკს“ 9 დეკემბერს მადრიდში?

**— როგორც ცნობილია, 9 დეკემბერს მადრიდში ჩემპიონთა ლიგის მატჩში ერთმანეთს ხვდებიან „რეალი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „რეალს“ ფრეც ჰყოფნის, „სპარტაკს“ კი მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.**

— ვნახოთ, რას ფიქრობენ ამის შესახებ „სპარტაკის“ რიგითი გულშემატკივრები:

**— სისწრაფეს თუ ვიგულისხმებთ, ჩვენ „რეალთან“ შედარებით არარაობა ვართ. დაცვაში, ისეთ შეცდომებს, ჩვენ რომ „შტურმთან“ მოგვივიდა, ისინი არასოდეს უშვებენ. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ 9 დეკემბერს „სპარტაკი“ ძალიან გაიჭირვებს და დიდი შეუპოვრობით ითამაშებს, ისე, ერთი მატჩის ჩატარება ხომ მაინც შეგვიძლია. „რეალი“ არც ისე მრისხანეა, უძლეველი სულაც არ არის.**

— მე ამ ბოლო ხანებში უცნაურ, უფრო ხშირად იმედის გადამწურველ სიზმრებს ვხედავ: ხან ცსკა-სთან ვაგებთ, ხან „შტურმთან“ შეხვედრას ფრედ ვამთავრებთ. აი, გუშინაც მესიზმრა, რომ რობსონმა („სპარტაკის“ ბრაზილიელი მოთამაშე) „რეალის“ ცარიელ კარში, ბურთი ვერ გაიტანა. ხომ ნახეთ, რა ზღაპრული გადაცემები აქვს ზეედორფს! ფანტასტიკური!

**— ძნელი სათქმელია, რა მოხდება 9 დეკემბერს. „სპარტაკს“ ძალიან გაუჭირდება დაცვაში, საჭიროა სრული გულისყურით თამაში. „რეალის“ მზადყოფნა ძალიან მაღალ დონეზეა. მის ფეხბურთელებს შორის უძლიერესები არიან რობერტო კარლოსი, რაული და ზეედორფი. ჩემი აზრით, განსაკუთრებით სახიფათოა ზეედორფი. ეს ახალგაზრდა პირდაპირ ტანკივითაა.**

— „სპარტაკის“ მთავარი პრობლემა სათამაშო პრაქტიკის არქონაა. „ვასკო და გამას“ მთელი 2 კვირის განმავლობაში ამზადებდნენ, არავითარ ოფიციალურ მატჩს არ ათამაშებდნენ. ისე რომ, თავში საშინელი ანალოგია მომდის. მაგრამ „სპარტაკს“ ერთი რამის გამო შეუძლია გაიმარჯვოს, რაც დაცინვის საგანიც კი ხდება. ეს არის სპარტაკული ხასიათი, გამარჯვების წყურვილი.

**— „სპარტაკი“ მადრიდში არცკი უნდა წავიდეს. ზოგი ამბობს, რომ „რეალს“ პრობლემები აქვს დაცვაში. დიახ, მაგრამ „სპარტაკს“ რომ პრობლემები აქვს შეტევაში?!**

## სეზონის ბოლომდეც არ დააცდიან?

„ბარსელონა“ რომ გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას, მისი მწვრთნელის, ჰოლანდიელი ვან გაალის დღეები დათვლილად მიაჩნიათ. ზოგი ფიქრობს, რომ მას შეიძლება შობამდეც აღარ დააცადონ, არათუ სეზონის ბოლომდე (ჰოლანდიელის კონტრაქტი 1999 წლის ზაფხულში მთავრდება). ვან გაალის მთავარ ნაკლად ის მიაჩნიათ, რომ მან „ბარსელონას“ ფეხბურთელებს ვერაფრით ვერ შეათვისებინა სათამაშო დისციპლინა.

„ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარტმა, ერთის მხრივ, უარჰყო ხმები, თითქოს ჰოლანდიელ მწვრთნელს რაღაც ულტიმატუმი წაუყენა თამაშის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, თქვა, რომ არავინ იცის, რა მოგველის ხვალ.

„ბარსელონა“, ზოგი ცნობით, უკვე საბოლოოდ მოელაპარაკა განთქმულ იტალიელ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს.

## მარადონა და რაფაელა კარა

გამოჩენილ იტალიელ საესტრადო მომღერალ რაფაელა კარას არხ რაი-1-ზე მიჰყავს ტელეშოუ, რომელშიც მონაწილეობა სთხოვა მარადონას. არგენტინელმა ვარსკვლავმა სიამოვნებით მიიღო ამ გადაცემაში მონაწილეობა.

გარდა ამისა, მარადონამ ივარჯიშა თავის ყოფილ კლუბ „ნაპოლიში“. ეს გუნდი ახლა იტალიის მეორე ლიგაში გამოდის.

# „ფორმულა 1“-ის რაინდები

## ფარინადან ჰაკინენამდე

დასაწყისი იხ. „ლელო“ №96

### გრეჰემ ჰილი

1962 („ბეერემი“) და 1968 („ლოტეს-ფორდი“) წლების მსოფლიო ჩემპიონი. დაიბადა 17.II.1929. ჰამპსტედში (ინგლისი). დაიღუპა საავიაციო კატასტროფის შედეგად 29.IX.1975 წელს. 176 „გრან-პრის“ რბოლის მონაწილე, 14 გამარჯვება. გუნდები: „ლოტუს-კლიმაქსი“, „ლოტუს-ბეერემი“, „ბრაბჰამ-ფორდი“. „შადოუ-ფორდი“, „ლოლა-ფორდი“. გაიმარჯვა ინდის (1966 წ.) 500-მილიან რბოლაში და ლე მანსში (1972 წ.).





### ჯიმ კლარკი

1963 წლის მსოფლიო ჩემპიონი, იგივე ტიტულს დაეუფლა 1965 წელსაც („ლოტუს-კლიმაქსი“). დაიბადა 1936 წლის 4.III. ფიფეში (ინგლისი), გარდაიცვალა „ფორმულა-2“ რბოლის დროს ჰოკენჰაიმში, 1968 წლის 7 აპრილს. 72 „გრან-პრის“ რბოლის მონაწილე, 25 გამარჯვება. გუნდები: „ლოტუს-ბეერემი“, „ლოტუს-ფორდი“.

### ჯონ სერტისი

1964 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ფერარი“). დაიბადა 1934 წლის 13.II. ტატსფილდში (ინგლისი). 111 გრან-პრის მონაწილე, 6 გამარჯვება. გუნდები: „კუპერ-მასერატი“, „ჰონდა“, „ბეერემი“, „მაკლარენ-ფორდი“, „სერტის-ფორდი“. ერთადერთი ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც იგივე ტიტული მოტოსპორტშიც მოიპოვა. 1978 წლამდე გუნდის მენეჯერი იყო.





### დენის ჰულმე

1967 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ბრაბჰამ-რეპკო“) დაიბადა 1936 წლის 18.VII ნელსონში (ახალზელანდიაში). გარდაიცვალა ბათჰურსტში (ინგლისი) 1922 წლის 4 X. რბოლის დროს გულის შეტევის შედეგად. 112 „გრან-პრის“ რბოლის მონაწილე, 8 გამარჯვება. გუნდები: „ბრაბჰამ-კლიმაქსი“, „მაკლარენ-ფორდი“.

### ჯეკი სტიუარტი

1969, 1971 და 1973 წლების მსოფლიო ჩემპიონი („მატრა-ფორდი“). დაიბადა 1939 წ-ის 11.VI-ს დუმბუკში (შოტლანდია). 99 „გრან-პრის“ მონაწილე, 27 გამარჯვება. 1968 და 1972 წლების მსოფლიო ვიცე-ჩემპიონია. გუნდები: „ბეერემი“, „მარჩ-ფორდი“. 1996 წელს ვაჟიშვილ პაულთან ერთად დააარსა ახალი რბოლა — „სტუარტ გრან-პრი“.





### იოხენ რინდტი

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ლოტუს-ფორდი“). დაიბადა 1942 წლის 18.IV მაინცში (გერმანია), გარდაიცვალა მონცაში, ვარჯიშის დროს 1970 წ-ის 5 IX-ს. 60 რბოლა, 6 გამარჯვება. გუნდები: „კუპერ-მასერატი“, „ბრაბჰამ-რეპკო“.

### ემერსონ ფიტიპალდი

1972 („ლოტუს-ფორდი“) და 1974 წლების („მაკლარენ ფორდი“) მსოფლიო ჩემპიონი. დაიბადა 1946 წლის 12.XII. სან პაულუში (ბრაზილია). 144 გრან-პრის რბოლა, 14 გამარჯვება. გუნდები: „კოპერსუქარ-ფორდი“ და „ფიტტიპალდი-ფორდი“. ფორმულა-1-ის შემდეგ „ინდიქარის“ რბოლის პილოტი დღეს ავტობიზნესშია, ფლობს ფორთოხლის პლანტაციას.



***გაგრძელება იქნება***

# შვედები – მეშვიდედ!





დევისის თასის ლაურეატობა ყველას ოცნებაა და ვინც უფრო მეტჯერ მოიპოვებს ამ სანუკვარ ჯილდოს, ცხადია, უფრო ზემოდან დაჰყურებს იგი საჩოგბურთო სამყაროს. შვედებს ნამდვილად აქვთ სიამაყის უფლება. მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში მესამედ, საერთოდ კი მეშვიდედ ჩაიგდეს ხელში დევისის თასი.

გასულ შაბათ-კვირას მილანში ჭეშმარიტად საჩოგბურთო ციებ-ცხელება იყო, მით უფრო, რომ იტალიელები შინ მასპინძლობდნენ შვედებს. თუ სტუმრების ფინალამდე მიღწევა ჩვეულებრივ ამბად შეიძლება ჩაითვალოს, იტალიელებისთვის ეს უდიდესი მიღწევა იყო. თუმცა, კლასმა და ტრადიციებმა თავისი გაიტანა და მასპინძლები, დიდი მონდომების მიუხედავად, დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით 0:3. შვედებს უპირატესობა ჰქონდათ, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შორის და საფინალო შეხვედრების სერია ვადამდე დასრულდა.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

8 დეკემბერს, 13 საათზე ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში გაიმართება სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას პრესკონფერენცია.

გამოიწერეთ ლელო




**8 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (19.25). უეფას თასის მერვედფინალური მატჩი (23.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა: „დინამო" (მოსკოვი) – „ფილდკირხი" (ავსტრალია) 0.40. ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (2.20). ***REN-TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 1.15). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (11.10; 20.05). ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი (13.35; 22.45). ფეხბურთი დარბაზში (14.35), ბოულინგი. მსოფლიო თასი (15.05). ცხენოსნობა (16.25). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (18.15). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.15; 2.05). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.45). სპორტული ცენტრი (3.15; 4.00; 8.00-14.00; 19.30; 1.30). ***Eurosport.*** სათხილამურო კროსი (13.30; 19.30). ტრამპლინიდან ხტომა (14.30; 18.00; 22.00). ფეხბურთი. უეფას თასი (23.00; 23.30; 1.30). კრივი (3.30).

**9 დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ფეხბურთი (22.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.35; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (15.00). ***HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" (მადრიდი) – „სპარტაკი" (მოსკოვი) – 23.35. ჩემპიონთა ლიგის დღიური (2.20). ***TB центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში" (12.15). ავტო და მოტოსპორტის სამყაროში (2.15). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.25). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 17.00). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ამერიკული ფეხბურთი (10.40). ჰოკეი, სტენლის თასი (14.35). კრივი (17.15). გოლფი (18.00). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (18.30). ჰოკეი (19.20). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" – „სპარტაკი" (22.35). „ლანსი" – „დინამო" (კიევი) 1.45. ***ESPN.*** სუმო (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30). ცხენოსნობა (15.00). ჩოგბურთი (15.30). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.30; 18.40). ნადირობა (20.00; 21.30; 22.00). ***Eurosport.*** ფეხბურთი (14.30; 20.00). მოტოსპორტი (16.30, 3.30). აფროსნობა (17.30). სნუკერი (18.00; 23.00). სათხილამურო სპორტი (22.00). დარტსი (1.00). კრივი (2.00).

**10 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.30; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (2.00). ***TB цетр.*** ცხენოსნობა (12.15). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.55). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (8.05; 16.10). გოლფი (8.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" – „სპარტაკი" (10.15). ჩემპიონთა ლიგა (14.00; 20.00; 22.15). ჰოკეი (16.25). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა (18.30). კალათბურთი. ევროლიგა (0.15). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (2.30; 4.30; 8.00-14.00; 20.30; 1.00). ცხენოსნობა (5.30). ამერიკული ფეხბურთი (22.00). ***Eurosport.*** სამთო თხილამურები (13.00; 13.30; 21.00). ტრამპლინიდან ხტომა (15.00). მოტოსპორტი (16.00; 3.00). სნუკერი (17.00; 18.00; 23.00). რაგბი (20.00). კრივი (1.00). ფეხბურთი (2.00). ავტოსპორტი (4.00).

**11 დეკემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** საფეხბურთო კლუბი (18.35). ***TB центр.*** „სპორტის ლეგენდები" (12.25). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ჰოკეის გაკვეთილი (8.05; 16.10). კალათბურთი. ევროლიგა (8.45). ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (10.10). ლათინოამერიკული ფეხბურთი (11.10). ჰოკეი (11.35; 19.45; 1.45). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (22.55). ***ESPN.*** კალათბურთი (2.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 0.30). ფეხბურთი (5.00; 6.00). ნადირობა (23.30). ***Eurosport.*** ბიატლონი (13.30; 16.15). ბობსლეი (14.30; 17.15). სამთო თხილამურები (15.30; 21.30). სნუკერი (18.00; 23.00). ცურვა (20.00). მოტოსპორტი (1.00). სნოუბორდინგი (4.00).

**12 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი" (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.30; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია.*** ჰოკეი (14.00). ***TB центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში" (15.15). ***RENTV.*** სპორტული მიმოხილვა (20.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (21.35). ***HTB плюс спорт.*** სამთო თხილამურები (10.35). ჰოკეი (10.40; 19.45). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (14.00). მაგიდის ჩოგბურთი (17.30). ამერიკული ფეხბურთი (19.15). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.30; 14.00; 21.30; 1.30). სათხილამურო სპორტი (3.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 20.30). მოტოსპორტი (5.30; 21.00). ***Eurosport.*** სამთო თხილამურები (13.30). ბობსლეი (14.45; 19.00). ბიატლონი (15.00; 17.00). სათხილამურო კროსი (16.00). ცურვა (20.00). ტრამპლინიდან ხტომა (21.30). სნუკერი (23.00). კრივი (1.00).

**13 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერმატჩი" (20.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (11.25). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.00). „ვარსკვლავები" (17.50). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***TV-6*** (მოსკოვი). „სპორტული კვირეული" (23.05). ***RENTV.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (16.30). ***ACT.*** „სპორტი" (21.35). ***HTB плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (10.55). ჰოკეი (13.45). ცხენოსნობა (16.15). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (17.25). საჭადრაკო მიმოხილვა (19.30). სპორტული ცეკვები (21.00). კარატე (22.00). მაგიდის ჩოგბურთი (23.35). ***ESPN.*** კალათბურთი (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 20.30). ამერიკული ფეხბურთი (5.30). ფეხბურთი (10.30); 13.00; 1.30). სათხილამურო სპორტი (15.00). ჩოგბურთი (17.00). ***Eurosport.*** ბიატლონი (13.00; 16.00). სამთო თხილამურები (14.45; 19.00). ტრამპლინიდან ხტომა (21.30; 3.30). სნუკერი (23.30).

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*6 დეკემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეთორმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**11. 26. 30. 33. 38. 41.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 715.59 ლარი.
4 ციფრი – 16.20 ლარი.
3 ციფრი – 1.80 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 34 545 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **4. 7. 1. 7. 5. 5. 1.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 13 დეკემბერს, ჯეკ-პოტი **34 545** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში**

**თამარ ზოტოვა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაუგრძნობს წარსულში ცნობილ წყალბურთელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბის თავმჯდომარეს, სპორტსმენთა მომზადების ცენტრის დეკანს, ისტორიის ფაკულტეტის დოცენტს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან წყალბურთელს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და საწყალოსნო კომპლექს „ლაგუნა – ვერეს" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან წყალბურთელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს ვეტერან წყალბურთელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**„ლოკომოტივის" ცენტრალური სპორტული კლუბი და ვეტერანი რკინიგზელი წყალბურთელები ღრმა სამძიმარს უცხადებენ წარსულში გამოჩენილ წყალბურთელს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს წყალბურთის გამოჩენილ ოსტატს და ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

(პანაშვიდი 8,9.XII, 15 სთ. გამოსვენება 10.XII, 14 სთ. (მიცკევიჩის, 25).

**საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" სამძიმარს უცხადებს სახელოვან ფალავანს გურამ სალარაძეს დედის გარდაცვალების გამო.**







**თარაზულად:** 5. წარსულში ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 7. ფიფას პრეზიდენტი, 8. ახლო წარსულში თბილისის „დინამოსა" და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი, 11. სპორტული სატანვარჯიშო იარაღი, 14. წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი, 15. „სუპერ-მარიო" *(ფოტო)*, 16. ფულისა და ნივთების გათამაშება, 17. ცნობილი შვედი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 20. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვება, 22. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 23. ფეხბურთელ ბუხვალდის სახელი, 26. 60-იან წლებში „სკუადრა აძურას" თავდამსხმელი, 27. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი, 28. საფრანგეთის მონდიალზე მოასპარეზე ბრაზილიელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. 50-60-იან წლებში თბილისის „დინამოში" მოთამაშე ფეხბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი, 2. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, მცველი, 3. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, მცველი, 4. ახლო წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი. 6. წარსულში ცნობილი რუსი სიმაღლეზე მხტომელი, 9. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი *(ფოტო)*, 10. 50-60-იან წლებში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, მცველი, 12. 70-80-იან წლებში მინსკის „დინამოში" და მოსკოვის „ტორპედოში" მოთამაშე ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი, 13. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 19. ცნობილი იუგოსლავიური საკალათბურთო გუნდი, 21. წარსულში შავიზღვისპირა კურორტი, სადაც საფეხბურთო გუნდები შეკრებებს გადიოდნენ, 24. „დორტმუნდში" მოთამაშე რუსი ფეხბურთელი, 25. ყირგიზეთის საფეხბურთო გუნდი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მce4! 1. ...de 2. მg4X.
1. ...d4 2. ლg5X. 1. ...კf4 2. ლ:d5X.
1. ...კ – 2. კg3X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. კახიანი, 7. „ლორიენი", 8. „სპორტინგი", 11. „ოსერი", 12. რაგბი, 13 „რიონი", 16. მასარო, 17. ვერონი, 21. ამორი, 22. სავიო, 23. სკალა, 26. „აინტრახტი", 27. შილტონი, 28. „ამადორა". **შვეულად:** 1. მახლასი, 2. კნუპი, 3. ბორგი, 4. ხნიკინა, 6. ორტეგა, 9. ტრანსფერი, 10. ტილკოვსკი, 14. ბერტი. 15. ვიერი, 18. ამანსიო, 19. „ივერია", 20. ბლატერი, 24. სიონი", 25. სტამი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე